საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

სატრანსპორტო საშუალებებისა და მასთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები (CPV 50100000)

შესყიდვის ელექტრონული პროცედურა

თბილისი

2013 წელი

1. ძირითადი პირობები:

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო აცხადებს შესყიდვის ელექტრონულ პროცედურას კვადროციკლების და მასთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთებაზე/ტექნიკური მომსახურებაზე.

აღნიშნულ პროცედურაში გამარჯვებულად გამოვლენილ მიმწოდებელთან გაფორმდება სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტის გათვალისწინებით.

შესყიდვის ელექტრონული პროცედურა არ წარმოადგენს ელექტრონულ ტენდერს, შესაბამისად მასზე არ ვრცელდება ელექტრონული ტენდერისათვის სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი ნორმებით დადგენილი წესები.

2. ტექნიკური პირობები:

2.1. შესყიდვის ობიექტი:

კვადროციკლების მომსახურება (სერვისი, სათადარიგო ნაწილებით)

№	სატრანსპორტო საშუალებების ჩამონათვალი	გამოშვების წელი	პრეისკურანტის სავარაუდო ღირებულება	მომსახურების გაწევის ადგილი	მომსახურების გაწევის ვადა
1	კვადროციკლი	2006-2007	32 645,00	მიმწოდებლის სერვისცენტრ(ებ)ი, ასევე საგზაო და საველე პირობებში	ხელშეკრულების გაფორმებიდან 2015 წლის 28 თებერვლის ჩათვლით, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად

2.2. პრეტენდენტმა ელექტრონული ვაჭრობა უნდა განახორციელოს პრეისკურანტის (დანართი N1) სავარაუდო ჯამურ ღირებულებაზე. პრეისკურანტის სავარაუდო ღირებულება შეადგენს - 32 645,00 (ოცდა თორმეტი ათას ექვსას ორმოცდახუთი) ლარს.
2.2.1. კვადროციკლების ნაწილებისა და მომსახურებების ღირებულებები მოცემულია დანართში N1 (რომელიც წარმოადგენს Excel-ის ფაილს)

2.3. სახელშეკრულებო ღირებულებაა – 80 000 (ოთხმოცი ათასი) ლარი.

2.4. წინადადება რომელშიც თითოეული პოზიციის ფასი გადააჭარბებს შემსყიდველის მიერ განფასების ცხრილში დაფიქსირებულ შესაბამისი პოზიციის სავარაუდო ფასს, არ ჩაითვლება მისაღებად, ასევე პრეტენდენტის მიერ სატენდერო წინადადებაში (განფასების ცხრილში) დაფიქსირებული პოზიციის ფასს არ უნდა აღემატებოდეს ვაჭრობის შემდეგ დაფიქსირებული პოზიციის ფასი.

2.5. პრეტენდენტის მიერ ელექტრონული ვაჭრობის შედეგად პრეისკურანტის საერთო ფასის შემცირების შემთხვევაში, ფასთა კლება პროცენტულად და პროპორციულად უნდა აისახოს პრეისკურანტის მოცემული ჩამონათვალის ერთეულის ფასებზე, თუ ერთეულის ფასები დაფიქსირდება მრავალნიშნა ათწილადად, პრეტენდენტი ვალდებულია აღნიშნული ფასები შეამციროს და დაამრგვალოს მეასედამდე, შესაბამისად შეამციროს პრეისკურანტის ჯამური ღირებულებაც.

2.6. მომსახურების განხორციელება შესაძლებელია:
- 2.6.1. დამოუკიდებლად;
- 2.6.2. ქვეკონტრაქტორ(ებ)თან ერთად;
- 2.6.3. ნებისმიერი სხვა სამართლებრივი ფორმით.

2.7. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს (სისტემაში ატვირთოს) შემდეგი დოკუმენტები/ინფორმაცია:
2.8. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, რომელიც ადასტურებს, რომ პრეტენდენტის ქონებაზე ან/და მისი დამფუძნებლ(ებ)ის მთლიან ქონებაზე არ არის რეგისტრირებული ყადაღა/აკრძალვა, საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა და პრეტენდენტი (დამფუძნებელი) არ არის რეგისტრირებული მოვალეთა რეესტრში;
- 2.8.1. მომსახურების აღწერილობა, რაც უნდა მოიცავდეს: დეტალურ ინფორმაციას მომსახურების გაწევის და პრეტენდენტის მფლობელობაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ.
- 2.8.2. ინფორმაცია პრეტენდენტის/ქვეკონტრაქტორ(ებ)ის 2012-2013-2014 წწ. მსგავსი მომსახურების გაწევის გამოცდილების შესახებ.
- 2.8.3. შევსებული პრეისკურანტი – დანართი N1
- 2.8.4. რეკვიზიტები

ტექნიკური დავალება:

1. კვადროციკლების ტექნიკური მომსახურება უნდა განხორციელდეს მიმწოდებლისა და შემსყიდველის წარმომადგენლების მიერ თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში კვადროციკლის დათვალიერების აქტის შედგენის შემდეგ. კვადროციკლების ტექნიკური მომსახურეობის შესყიდვისას გასაწევი მომსახურების დეტალური აღწერა უნდა იყოს მოცემული შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ შედგენილი დათვალიერების აქტში.

2. მიმწოდებელს უნდა გააჩნდეს სარემონტო საამქრო(ებ)ი (სახელოსნო(ებ)ი) შესაბამისი აღჭურვილობით, კვადროციკლების ყველა კვანძის და აგრეგატის ტექნიკური მომსახურების შესაძლებლობა (კაპიტალური რემონტი), სერვისის, რემონტისა და სადიაგნოსტიკო აპარატურით უზრუნველყოფა.

3. სერვისცენტრ(ებ)ი დაკომპლექტებული უნდა იყოს მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტებით შესაბამისი გამოცდილებით.

4. მიმწოდებელს უნდა გააჩნდეს შესაბამისი ტექნიკით აღჭურვილი მობილური ჯგუფები - რათა პრეისკურანტის განსაზღვრული ერთეულის ღირებულების ფარგლებში მომსახურების გაწევა შესაძლებელი იყოს საგზაო და საველე პირობებში.

5. მიმწოდებლის მფლობელობაში არსებულმა სერვისცენტრ(ებ)ი ადგილებზე უნდა უზრუნველყოს ერთდროულად არანაკლებ 3 (სამი) კვადროციკლის მომსახურება და რემონტი კვირაში 6 დღის განმავლობაში (საჭიროების შემთხვევაში კვირაში 7 დღე).

6. მომსახურება უნდა განხორციელდეს მომწოდებლის სათადარიგო ნაწილებით, რისთვისაც მიმწოდებელს უნდა გააჩნდეს სათადარიგო ნაწილების გარკვეული მარაგები, რემონტების დროულად უზრუნველსაყოფად.

7. სერვისცენტრ(ებ)ს უნდა შეეძლოს მოთხოვნის შემთხვევაში სათადარიგო ნაწილების გაცემა.

8. მიმწოდებლის მიერ განფასების ცხრილში დაფიქსირებული ფასები არის მაქსიმალური, ხოლო ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, შესაძლებელია უფრო დაბალი ფასით მომსახურების გაწევა.

9. განფასების ცხრილში არარსებული დეტალისა ან/და მომსახურების არსებობის შემთხვევაში, დეტალის ან/და მომსახურების ფასი დგინდება მხარეთა შორის შეთანხმებით, საბაზრო ფასის გათვალისწინებით.

10. მიმწოდებლის მიერ განხორციელებულ მომსახურებაზე და თანმდევ სათადარიგო ნაწილებზე (გარდა ცვეთადი ნაწილებისა) და ძირითადი აგრეგატების რემონტზე უნდა ვრცელდებოდეს არანაკლებ 6 თვიანი საგარანტიო ვადა. საგარანტიო ვადის განმავლობაში მიმწოდებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ, შემსყიდველისათვის ზედმეტი დანახარჯების გარეშე, აღმოფხვრას აღმოჩენილი წუნი/დაზიანება.

შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა და ადგილი:

ა) მომსახურების გაწევის ვადები: ხელშეკრულების გაფორმებიდან 2015 წლის 28 თებერვლის ჩათვლით.
ბ) მომსახურების გაწევის ადგილი: მიმწოდებლის სერვის ცენტრ(ებ)ი, ასევე შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში საგზაო და საველე პირობებში.

სატენდერო წინადადების ფასი.

ა) სატენდერო წინადადებაში საერთო და ერთეულის ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.
ბ) სატენდერო წინადადების საერთო და ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ლარში.

ანგარიშსწორების პირობები.

ა) შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს შემსრულებელს მომსახურების ღირებულება ეტაპობრივად, ყოველი კონკრეტული მომსახურების გაწევის შემდეგ კანონმდებლობის შესაბამისად, ანაზღაურებისათვის საჭირო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 15 სამუშაო დღეში.
ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო.
გ) წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ განიხილება.

გამარჯვებულმა პრეტენდენტმა ხელშეკრულების გაფორმების მომენტისთვის უნდა წარმოადგინოს „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონითა და „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 21 იანვრის N42 ბრძანებულებით დადგენილი საიდუმლო ინფორმაციაზე დაშვების დამადასტურებელი დოკუმენტი - ფორმა N4 - დოკუმენტი წარმოდგენილ უნდა იქნას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან.

სატენდერო წინადადების წარდგენით პრეტენდენტი ავტომატურად გამოხატავს თანხმობას ტექნიკური პირობებით/დავალებით განსაზღვრულ მოთხოვნებზე

საკონტაქტო პირები სატენდერო დოკუმენტაციის შესახებ განმარტებებისათვის

სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სატენდერო კომისიის აპარატში.

წერილობითი მიმართვის შემთხვევაში: ქ. თბილისი, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, გენ. გ. კვინიტაძის ქ. N20.

სატენდერო კომისიის აპარატის წევრები:

თენგიზ ხანიაშვილი

ელ. ფოსტა: tkhaniashvili@mod.gov.ge

გიორგი ირემაძე

ელ. ფოსტა: giremadze@mod.gov.geg

პრეტენდენტის რეკვიზიტები.

პრეტენდენტმა სისტემის გამოყენებით უნდა წარმოადგინოს შემდეგი რეკვიზიტები:

პრეტენდენტის რეკვიზიტები:

- პრეტენდენტის იურიდიულ-სამართლებრივი ფორმა და დასახელება;
- ხელმძღვანელის სახელი და გვარი;
- პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტობრივი ადგილსამყოფელის მისამართი;
- პრეტენდენტის ტელეფონის/ფაქსის ნომერი;
- საფოსტო და ელექტრონული ფოსტის მისამართი;
- საიდენტიფიკაციო კოდი.

საბანკო რეკვიზიტები:

- ბანკის კოდი;
- ანგარიშსწორების ანგარიში;
- ბანკის ადგილსამყოფელის მისამართი.